№ 31 9 თებერვალი, შაბათი. 1866—1880 9 თებერვალი, შაბათი. № 31

რედაქცია

ერევნის მოედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ - „Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს: | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 7 თებერვალს. პეტერბურღის სამხედრო ოკრუგის გვარდიის ჯარისათვის, 6 თებერვალს გამოცემულს ბრძანებაში ნათქვამია:

„გუშინ, 5 თებერვალს, საღამოს შვიდ, საათზე საზამთრო სასახლის მთავარ ყარაულის სადგომის ქვეშ იფეთქა დიდძალ დინამიტმა (ასაფეთქებელი წამალია). თავ-ზედ ბოროტ-მოქმედმა სასახლის ასაფეთქებლად აირჩია სწორეთ ის დრო, როდესაც ხელმწიფე იმპერატორი ჩვეულებრივ სადილს მიირთმევს და ასაფეთქებელი წამალიც სწორეთ პურის-საჭმელ ოთახის ქვემოდამ იყო მომზადებული; — ამ ნაირად ბოროტ-მოქმედმა მოინდომა თავის ჯოჯოხეთური განზრახვის შესრულება წინააღმდეგ იმპერატორის პიროვნებისა. ღმერთმა დაიფარა ძვირფასი სიცოცხლე თავის მირონ-ცხებულისა და მით ერთხელ კიდევ აღმოგვიჩინა ჩვენ ყველას გამოუთქმელი მოწყალება, რომლისათვის დავეშუროთ გრძნეული და მხურვალე ლოცვა შევსწიროთ უფალსა. ხელმოწერილია გურკო.“

გუშინ ყველა ეკკლესიებში სამადლობელი მოლებენი გარდაიხადეს.

---

## ზოგიერთი შენიშვნები

> ვერა დროთ ვერა შესცვალეს მის
> გული ანდამატისა,
> იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე
> თავის მიწისა.
>
> გრ. ორბელიანი.

ქართველობის დაუძლურება, გულის გატეხა, უკან ჩამორჩომა ამ ჟამად შეადგენს იმისთანა აშკარა მოვლენას, იმისთანა ცხად ჭეშმარიტებას, რომელსაც ბევრად, თუ ცოტად ყველა გრძნობს, ყველა ხედავს, არამც თუ განათლებული, არამედ უკანასკნელი უმეცარიც.

ბევრნი თუ არა, ზოგეერთნი მაინც ამ უკან დახევის, უკან წასვლის მიზეზს ეძებენ იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იყო ჩავარდნილი საქართველოს წარსული საუკუნის დამლევს. ჩვენი ჰაზრით ამ გვარი სჯა უსაფუძლოა და ხეპრულ შეცდომილებას შეადგენს. ეს შეცდომილება დიდათ მავნებელია ჩვენთვის ორი მხრით ჯერ ერთი ესა, რომ მეძიებელს უკარგავს გზასა და სენის მიზეზს უჩვენებს სრულიად სხვა დროში, სხვა ადგილას და ამითი ნამდვილი მიზეზის გამოკვლევას, პოვნას და მოსპობას უშლის; მეორეს მხრით იმითია ცუდი, რომ სრულიად ხალხი მოსარჩენს, სენს რაცხს ძველს სენათ, დიდი ხნის სევდათი ხრონიკულ თვისებას აწერს მას და განკურნების იმედს თითქმის სრულიად უკარგავს მამულის შვილსა. საიდგან წარმოსდგება ეს მავნებელი შეცდომილება? უმეტეს ნაწილად იქიდგან, რომ ჩვენი სამეფოს სახლის, ბაგრატიონთა გვარის გაფუქსავატებას, დაუძლურებას და გამობირებას აწერენ მთელს ერსა, გადააქვთ მთელ ხალხზედ და კერძო სენს რიცხავენ საზოგადო სენათ. მაგრამ, ვიმეორებთ ეს შეცდომაა. მართალია, თვით მეფე ერეკლე მეორე, საუკეთესო წარმომადგენელი მეთვრამეტე საუკუნეში ბაგრატიონთა გვარისა, წინ-აღუდგა დასავლეთის და აღმოსავლეთის საქართველოს შეერთებას, რომელსაც ენერგიულად თხოულობდნენ იმიერნი და ამიერნი და, ქვეყნის საუბედუროდ ჩაშალა ეს ბრძნული წადილი ერისა იმ ეგოისტური წვრილმანი მიზეზის გამო, რომ თავის შვილის - შვილისთვის არ ეწყევინებინა და არ მოეკლო იმერეთის ტახტზედ ფარფაშობასა. ისიც მართალია, რომ თვით მემკვიდრე საქართველოს ტახტისა გიორგი უბრალო უსიამოვნობის გამო მამასთან საშინელ განსაცდელის ჟამს არ მოაშველა ერეკლეს ქიზიყიდგან ჯარი სპარსელების წინა-აღმდეგ და შეიქნა მიზეზი თავის ქვეყნის აოხრებისა აღა-მახმად-ხანისაგან, აგრეთვე ცნობილია ყველასათვის ისიც, რომ გიორგი მეფე თითქმის მთელ თავის დროს ატარებდა ერთი მხრით ზაქის ხორცის შექცევაში და მეორე მხრით ხატების მთხვევაში. და ეკკლესიურ ჩხირკედელაობაში მაშინ, როდესაც ყოველის მხრით მის სამეფოს მრავალი მტერი აქეთ-იქითგან გლეჯდა და უწყვეტდა ილაჯსა. ისიც ბევრს აქვს შეტყობილი, რომ სამეფოს სახლის წევრნი საუბედუროდ ქვეყნისა მეტათ გამრავლებულნია, ერმანეთის მტრობაში, ჯიბრში და ქვეყნის ღალატში ამოსდიოდათ სული, და სრულიად მოკლებულნი იყვნენ საქვეყნო ინტერესებზედ ზრუნვას, საპოლიტიკო ჰაზრებს და წადილებს. ყველა ეს ფაქტები და მრავალნი მათი გვარნი სრულ ჭეშმარიტებას შეადგენენ, მაგრამ რას ამტკიცებენ ესენი? მხოლოდ მას, რომ ბაგრატიონთა გვარი აღარ იყო ამ დროს წარმომადგენელი ქვეყნის ინტერესებისა, იმის დროშაზედ აღარ ეწერა ბედნიერება საქართველოსი, ის ყველაფერზედ მომეტებულად, ყველაფერზედ უწინ ზრუნავდა თავის წვრილმან სარგებლობაზედ, პიროვან სიამოვნებაზედ და მას მსხვერპლად სწირავდა ერს სარგებლობას, ხალხის ბედსა.

სრულიად სხვა სურათს წარმოადგენდა თვით საქართველოს ერი. დიდი ხნის განმავლობაში იყო სამხედრო შერჩევის (военный подборъ გავლენის ქვეშა, რომელიც ყოველ ხალხს, ველური მდგომარეობიდგან გამო-

---

## ფელეტონი

### ხმა ქუთაისიდამ

გაიხსნა როგორც იქნა შკოლა. — მისი არსებითი პირობები. — წლევანდელი წელიწადი არ ხუმრობს. — სცენები პიესების მწერლებისთვის. — ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოება და მისი კომიტეტის მოქმედება. — მოველოდით სოფლის შკოლების აყვავებას, მაგრამ სად არის! — ოზურგეთის სასწავლებლის მდგომარეობა.

გაიხსნა როგორც იქნა! გაიღო სააზნაურო შკოლის კარები. ყოვლად სამღვდელოს ლოცვა-კურთხევა ერთნაირათ ერგო როგორც ახალ-მოზარდეთა, ეგრეთვე მრავალს ხარისხოვანს ხალხს, რომელნიც ესრეთის გულს-მოდგინებით დაეპატიჟა აქაურ „მზრუნველ კომიტეტს.“

ყველას იამა, ყველანი გახარდნენ, შესამჩნევი მოვლენაა ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებაშიო. წარმოსთქვა სიტყვა ყოვლად-სამღვდელომ. საზოგადოებამ და მათში განათლებით უფრო წინ-წამომდგარმა თავად-აზნაურობამ რაკი სწავლის სურვილი მოიწადინა და თვით გამოსძებნა საშუალება ამ წყურვილის დასაკმაყოფილებლად, ეს წინ-ფეხის წადგმააო, ეს ბედნიერი დროის მოვლინებააო, განმარტა კიდევ ყოვლად-სამღვდელომ.

აქვე წაიკითხეს გამოგზავნილი სიტყვა პატივ-ცემულის ჩვენის „წერა-კითხვის საზოგადოების“ თავ-მჯდომარისა, უფ. დიმიტრი ყიფიანისა და ამ სიტყვაში ჩვენ მოვისმინეთ რომ შვიდთა რწმუნებულებში სამი მისი შვილნი ყოფილან და ოთხიც გარეშენი და ამ სამს მწევრს დაახლოვებულ ზედამხედველათ თვით მოხუცი ჰყოლია.

ცერემონია პატარა კი არ ყოფილა; გაზეთს, რასაკვირველია, უნდა აეწერა დაწვრილებით 3 თებერვლის შემთხვევა, მაგრამ ეს არ ვიღებ ამას ჩემს თავზედ. მე არც ყოვლად-სამღვდელოს სიტყვას შევეხები და არც დიმიტრი ყიფიანისას. ორივეს სიტყვამ ისრეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელთა საზოგადოებაზედ, მოულოდნელისაგან მოულოდნელის მოსმენამ და მოსალოდნელისაგან მოულოდნელის გაგონებამ ისრე გაგვაკვირვა ყველანი, რომ დავიწყებაც მოხერხდებოდეს, ის უფრო სასიხარულოა, ვიდრე „დროებაში“ კიდევ გავრცელებით ლაპარაკი.

ცუდი რამ არის თურმე კაცის საქმეში ჩავარდნა, ძვირათ საპოვარია თურმე ადამიანი, რომელსაც თავისთავის ინტერესები არ ულევიძებს გულის ძარღვებს, იშვიათი შემთხვევა ყოფილა გრევისთანა კაცის ნახვა, რომელიც დღეს პირველი სახელმწიფოს პრეზიდენტათ ითვლება და თავის ქვეყნის, სოფლის კაცი ერთი არ წამოუყენებია დასაჯილდოებელს ალაგზედ, არც ერთს თავის ნაცნობს ან ნათესავს დაქომაგება და სასირცხოთაც მიაჩნია თურმე მათის მხარის გაწევა არამც თუ საქვეყნოთ გამოაცხადოს და აღიაროს: ეს ჩემი შვილია, ეს ჩემი რძალია და პატივი ეცით მასსო...

* * *

სააზნაურო შკოლა გაიხსნა, მართალია, მაგრამ ცოტა მის შინაგანს მდგომარეობაზედაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. შარშან, როცა ჩვენი სააზნაურო ბანკის სხდომაზედ ეს ეხლანდელი ჩვენი შკოლის გახსნა გარდასწყვიტეს, ორი ხეპრული პირობაც დაუდვეს ამ შკოლას: პირველი, რომ თავად-აზნაურობის შვილების გარდა არავის შვილი არ აღიზარდოს აქაო, და მეორე, უფრო მძიმე კიდევ, რომ ყოველს მაზრებს მცხოვრებლების შედარებით თავისი ვაკანსიები უნდა ქონდესო. ეს დადგინება როცა დღეს საქმეთ გადიქცა, როცა შკოლამ მსურველები გამოიწვია, გამოჩნდა, რომ თვით ქუთაისის მაზრას მომეტებულათ სჭირდებია ვაკანსიები, მაშინ როდესაც სხვა მაზრებს, არამც თუ სწავლის საჭიროება არ ქონდეს, არა, სხვა მაზრებს, სიშორის გამო და უმეტესად სიღარიბის გამო, არ შეუძლიანთ ამ ვაკანსიებით ისარგებლონ; მაშასადამე მათთვის დადებული ვაკანსიები უმეტეს ნაწილათ ცარიელები უნდა დარჩნენ.

დიახ, მაშინ ისრეთი აღელვებული სხდომები იყო, მარტო კენჭის-ყრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულს, ასუსტებს და აწვრილმანებს, თუმცა შეუწყვეტელი და დაუსრულებელი ბრძოლის გამო აუარებელ მტრებთან ბევრგან იყო დაჭრილი და მისუსტებული და თუმცა თავის დამოუკიდებელის არსებობის განმავლობაში არას დროს არა ყოფილა იმისთანა გაჭირვებულ მდგომარეობაში, როგორშიაც იყო წარსულ საუკუნის დამლევს, მაგრამ ორგანიზმი ერს სნეული არა ჰქონდა, ჯანი და ღონე კიდევ ბლომად მოსდევდა და მისი დაჭრილებანი ძნელი მოსარჩენნი არ იყვნენ. თავისი ღვაწლიანი მარჯვენა ბევრგანა ჰქონდა დაკოდილი და დასისხლებული, მაგრამ მითი ჯერ კიდევ მაგრა ეჭირა დროშა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა, ჯერ კიდევ მტკიცედ იცავდა თავის პირველ ადგილს კავკასიის ხალხთა შორის, ჯერ კიდევ ერთად-ერთი ლამპარი იყო ცივილიზაციისა მთელ მცირე აზიაში.

ამ გვარ დასკვნამდის მივა ჩვენი ერის შესახებ ყველა, ვინც კი ყურადღების დამყარებით ჩააკვირდება საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას. დავიწყოთ თუნდა იქიდგან; რომ დაუსრულებელ, ბოლომოუღებელ უბედურობათაგან საქართველომ ისე გამოიტანა თავი, რომ „სახელმწიფო ვალი სრულიად არ დაიდო. ეს მით უფრო საკვირველია, რომ აზიური სიმდიდრით და ფუფუნებით შენახვა დიდი სამეფო ოჯახისა ხალხს ძალიან ძვირად უჯდებოდა. თვითონ ხალხშიაც კერძო ვალი იშვიათ მოვლენას შეადგენდა. სასმელ-საჭმელი, ტანსაცმელი თუმცა მარტივი იყო, მაგრამ ყველას უხვათა ჰქონდა. ძველებური დოვლათი ეხლაც ნატვრის საგანს შეადგენს ხალხში. მრავალი ქვით-კირის ნასახლარები, ნადარბაზევები, რომელნიც ამ ოცი წლის წინათა ყველა სოფლებში ბლომათ იპოვებოდა და ეხლაც იპოვება, ამტკიცებენ, რომ ხალხი შეძლებელი იყო და კარგ მდგომარეობას შეჩვეული. ძველებური საქვეყნო გულიანი ლხინი კაცებისა და ქალებისა, რომელსაც ჩვენგანი ყველა მოსწრებია პატარაობაში და რომელიც ახლა თითქმის სრულიად გაქრა მეტადრე ქალებში, ცხადათ გვიჩვენებს, რომ მაშინდელ ცხოვრებას ქართველებისას არ აკლდა ჭეშმარატი სიხარული, თუმცა გარეგანი შიში და უბედურობა ხშირად ადგათ მათ კარზედ.

მაშინდელი საქართველო ჩვენ გონებაში იხატება, როგორც აოხრებული ქვეყანა, მეტად ახლად დასახლებული და მცხოვრებთა რიცხვით ფრიად შემცირებული. ისტორიული ფაქტების გაცნობა ამ წარმოდგენასაც აცრუებს. ტფილისის აკლების შემდეგ სპარსელებისაგან მეფე გიორგიმ მოახდინა აღწერა კახეთისა და აქ აღმოჩნდა 42,000 კომლი კაცი. თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მაშინ, შიშიანობის გამო, ქართველებს უყვარდათ ცხოვრება დიდ-დიდ ჯალაბობითა და თვითო ჯალაბში იყო ხოლმე არა ნაკლები ათი სულისა, მაშინ ჩვენთვის აშკარად შეიქნება, რომ კახეთში ამ დროს ყოფილა ოთხასი ათასი სული. ეს რიცხვი თითქმის ერთი-ორად აემატება კახელების ახლამდელ რაოდნობას როგორ ხხდებოდა ესა? რატომ არ მცირდებოდა რიცხვით ხალხი, რომელიც თითქმის ყოველ-წლივ ბრძოლის ველზედ შეიარაღებული იდგა და ათასობით ჰკარგავდა თავის შვილებსა? ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ნივთიერობითი კეთილ-დღეობა, ხალხისა, მისი ქონება, მისი დოვლათი იმდენათ მაღალ ხარისხზე იდგა, რომ ბუნებით სიკვდილს ავათმყოფობათაგან ხდიდა ძალიან იშვიათს, სიკვდილის პროცენტი იდგა თავის მინიმუმზედ და ყველამ კარგად ვიცით, რომ სიღარიბე და ავათმყოფობა ერთი ასათ უფრო მომეტებულ ხალხსა ქლეტს, მინამ თვით ხანგრძლივი და უბედური ომი გარეშე მტრებთან.

ვაჟ-კაცობა, გულადობა და მამულის სიყვარული შავთა დროთ ვერ შეეცვალათ და უწინდელსავით ღვიოდნენ ქართველების გულში. წარსულ საუკუნეში რუსეთის ჯარზედ მამაცი მთელ ევროპაშიაც არ მოიპოებოდა, მაგრამ ქართველებმა არა ერთხელ დაამტკიცეს, რომ ისინი მამაცობით და შეუპოვრობით უკან არ ჩამოურჩებოდნენ სუვოროვის შკოლაში გაწვრთვნილს თანამორწმუნე გმირებს.

ამ ხრით მეტათ შესანიშნავნი არიან ასპინძის ომი და ალა-მახმად-ხანთან ბრძოლა. 1770 წელს ასპინძასთან შეხვდნენ ერთმანეთს ერთი მხრით ქართველ-რუსის ჯარი და მეორეს მხრით ხვანთქრის რაზმები. რუსის ჯარის უფროსმა გენერალმა ტოტლებენმა სწორედ ბრძოლის დაწყების წინეთ ომზედ უარი განაცხადა. „არა მაქვს ბრძანება იმპერატორისა *), რომ შევება ჯარითა ესრეთ მცირითა მტერსა დიდსა უსარგებლოდ", სთქვა გენერალმა, გასწია უკან თავის ჯარით და დასტოვა გაოცებული და გაბრაზებული ქართველები პირის პირ მრავალის მტრისა. თვით განთქმული ჯარისათვის, თვით ნაპოლეონის ვეტერანებისათვის სათაკილო არ იქნებოდა ამისთანა შემთხვევაში ომის მორიდება: მაგრამ ერთი მუჭა ქართველი ჯარი არამც თუ უკან არ მოიქცა, არამედ გმირულათ შეება ოსმალეთის მრავალთა რაზმთა, ევროპიულთა გამოწვრთნილთა და საშინლად დაამარცხა ათჯერ მაინც თავისზედ უმრავლესი მტერი.

„მეორე დღეს მიმავალმან საქართველოდგან იმერეთსა ბაღდადის გზით ღენერალმა ტოტლებენმა სცნო დიდი გამარჯვება ირაკლისა ოსმალოს ჯარზედ და სირცხვილეული დაეშურა და მალე გარდაელო მთა". აგრეთვე გმირული თავდადებულება მამულისათვის გამოიჩინეს ქართველებმა, თვით დუბროვინის მოწმობით, ალა-მახმად-ხანთან ბრძოლაში „ვფიცავ ჩემ ღმერთსა, რომ ჩემს მტრებში ჯერ ამისთანა მეომარნი არ მინახავს", წამოიძახა ალა-მახმედ-ხანმა, როცა დაინახა, რომ ერთმა მუჭა ქართველმა ჯარმა პირველი შეტევით მუსრი გაავლო მის ურიცხვს ჯარს, გააპო იგი შუა და მტრის საშინელის ქლეტით მიატანა თვით სპარსეთის ხელმწიფეს. მართალია ეს ომი უბედურად გათავდა ქართველთათვის, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ თვით სამაგალითო სიმამაცეც ყოვლად შემძლებელი არ არის და სამხედრო ისტორია არ წარმოადგენს იმისთანა მაგალითს, რომ ხუთიათას კაცს დაეძლიოს სამოც-და-ათი ათასი ბრძოლაში დახელოვნებული და ძლევა-მოსილი ჯარი... ლეკნი, კარგი და ყოჩაღი მეომარნი, ყოველთვის დამარცხებულნი იქნებოდნენ ხოლმე როცა კი ქურდულად და მოულოდნელად არ დაეხსმებოდნენ ხოლმე ქართველებსა...

ყველაზედ შესანიშნავი და იმედის მომცემი ის არის, რომ ამ ძვირფასი

*) ვკითხულობთ გიორგი მეცამეტეს ცხოვრებაში.

---

იმნაირათ უმწარებდა გონებას ჩვენს ნასწავლს ყმაწვილ-კაცობას, უფ. დარახველიძის ყბედობასაც რომ ფრთა გამოესხა, ოღონდ კი ამით ზოგიერთ ყმაწვილ-კაცობას ოციოდე თეთრი კენჭი ეშოვათ და ქვა-ქვას მიხლოდა; თორემ, იმ ნასწავლს კაცებს, რომელნიც მაშინ ბატონურათ ღრიალებდენ, როგორ არ ესმოდათ, რომ ეს პირობები შკოლას ძრიელ ავნებდა? მაგრამ არა. საზოგადოების დახმარება, საზოგადოების სიკეთე საუბედუროთ ჩვენს მრავალს და მრავალს ნასწავლს კაცებს, როგორც, რასაკვირველია, ბევრს უსწავლელსაც მცირე რამ მიზნათ დაუდვიათ თავის ცხოვრებაში: ჯერ თავო და თავოო, მერე ცოლო და შვილოო, ამბობენ ნასწავლებიც და უსწავლელებიც, მოხუციც და ახალ-გაზდაც. ჯერ თავის მდგომარეობას ეწევიან, ჯერ თავის კენჭებზედ დარბიან და მერე ჰო, კარგიო, ამბობენ; იყოს შკოლა, თუ გინდათო. მამული?—ჰო, იყოს მამული დიდი, მარად სახსენებელი!

* * *

წლევანდელი წელიწადი არ ხუმრობს. ეს ნაკიანი 1880 წელი ჯერ-ჯერობით ბევრს სასიამო რამეებს გვიქადის. ჯერ შკოლა გაიხსნა ამ თვის თუთხმეტსაც ერთი უცხოთ გალამაზებული პაწაწინა თეატრი გაიხსნება და შიგ ახლად შემდგარი ქართული ტრუპპა გვიგალობებს განთიადის ფსალმუნს. გამოვლენ კეთილი ადამიანები და ცხოველის სიტყვით, მოხერხებულის ქცევით, ჭეშმარიტებათა დამტკიცებით, სიმართლის მხილებით, ცუდის ცხოვრებისა დაცინვით, ბოროტებისა დაქოლვით, კეთილის მაგალითებით გვასწავლიან ვონებას გაგვიხსნიან, გვასიამოვნებენ, გვაცინებენ, გაგვატარებინებენ დროს კიდეცა.

ეს კეთილი იმედი და ფრიად სასიამოვნო და ყველასთვის სანეტარო მოვლენა გახლავს, ამას უნდა მივეტრფიალოთ, ეს უნდა გვანუგეშებდეს.

მართალია, ტრუპპაში მაინც-და-მაინც გამოცდილები, გავარჯიშებული არა გვყვანან, მაგრამ იმედია ესენიც იმ გზას დაადგებიან, ეგრე წალმართათ დაატრიალებენ თავიანთ მოვალეობის საქმეს, როგორც ტფილისის ტრუპპამ ქნა.

თუ კი, რასაკვირველია, საზოგადოებამ ამაშიდ დიდი მონაწილეობა მიიღო.

მე მჯერა, რომ ჩვენში სცენის საქმეც კარგათ მოსახერხებელია, როგორც სხვა რამესი, ოღონდ ცდა, სინიდისიანი გულს მოდგინება იყოს. ნიჭიერებიც გამოიძებნება, მშრომელსაც ვიშოვით, ვაშრომებთ—თუ ზანტია, ვასწავლით — თუ უსწავლელია, გამოვცდით —თუ გამოუცდელია, გავაშალაშინებთ—თუ ეს დასჭირდება; ოღონდ, ვიმეორებ, ყველას გულის სიმტკიცე, ერთგულება და სიყვარული სჭირია.

თორემ, ჩვენი ბანკის საქმის არ იყოს, თუ იქაც კენჭობია გავაჩინეთ, თუ იქაც ბატონური ბრძანებლობა, პირადობა, რძალ-დედამთილობა ავტეხეთ, იქაც თუ სააზნაურო ბანკის შმორის სუნი ავადინეთ, გეფიცებით ეხლავე თავი დავანებოთ ისა სჯობიან, დასაწყისშივე მოვკლათ ჩვენის სცენის საქმე ქუთაისში, ჭეშმარიტად უფრო სასიამოვნოა...

და ესრეთ, თუ კი ცა იპრიანებს, თუ უზენაესს ჩვენთვის ცუდათ არ შამოუხედნია წელს, თეატრი გვექნება ამ მოკლე ხანში. ამას მოველით და მოველით მარტო სცენის მოყვარეობის სურვილით კი არა, ჩვენი საზოგადოება წელს უცაბედის შემთხვევით ყოველს გვარს სიამოვნებას მოკლებულია: ერთი კლუბი იყო, სადაც ხან კონცერტი იმართებოდა, ხან ცეკვა, ხან მასკარადი, — გააქრო უწყალო ცეცხლმა. ცირკის შენობა იყო, იქ სცენასავით რაღაც გაწყობილობა იყო,—დაარღვია მუშაობაში და სახლების შენობაში ვაუმაძღარმა ხარაზოვმა; გუბერნატორის ზალაში სცენა იყო, და აიღეს. ერთის სიტყვით, ყოველი დროს გასართობი ადგილი მოისპო ამ ზამთარში, ყოველს სიამოვნებას მოვსცილდით, გაშინჯეთ „შარმანკასაც" ვერ გაიგონებთ, ზურნა ხომ მოისპო და ეს არის....

და ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი საზოგადოება, რაღა თქმა უნდა, მოუთმენელად უნდა ელოდებოდეს თეატრის გათავებას და ტრუპპის დაარსებას....

„ნემო".

(დასასრული ხვალ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისებით შემკულნი იყვნენ მაშინდელი ქართველი ქალებიც. მათი მამულის ერთგულობას, ხალხოსნობის სიყვარულს, მაღალ ჭკუას და კაცურ გულს თვალ-წინ ცხადად გვიხატავს ჩვენი პოეტის ბარათაშვილის სოფიო, მათი წარმომადგენელი, მათი ტიპი. თუ პოემიდგან ისტორიაში ჩავხედავთ, იქაც შევხვდებით ამ გვარ მაგალითებს; 1777 წელსა მეუღლე გიორგი მემკვიდრისა ქეთევანი ოც-და-ათი წლის ქალი, ასული ანდრონიკაშვილისა, თბილისიდგან მუხრანს მიდიოდა სტუმრათ. თან ახლდა მას სამასი ცხენოსანი. ღართიკარის ვიწროებში რომ მივიდა, გზა სრულიად შეკრული დაუხვდა ხუთასი ლეკი სამ გზით იყო ჩასაფრებული ამ ძნელად გასავლელ ადგილასა და სრულიად შეუძლებელსა ხდიდა გზის გაკაფვასა. გულად ვაჟკაცსაც კი უკან გამობრუნებდა ამისთანა უძლეველი დაბრკოლება; მაგრამ ქეთევანი მას არ შეუშინდა. იგი თვითონ მამაცურად მიუძღვა თავის ცხენოსანთა, გაარღვია სამ გზით გამაგრებულნი ლეკნი და ჰქმნა სახელოვანი ძლევა.

„უკუქცეული შემდგომად ერთისა თვისა მუხრანით, მიიღო ირაკლიმ გმირი რძალი თვისი თბილისს დიდისა დღესასწაულობითა, ზარბაზნის ციხიდამ სროლითა და ჩირაღითა.

მაშინდელი ქართველების ვაჟკაცობა და მამაცობა ევროპაშიაც კი განცვიფრების საგანს შეადგენდა. თვით დიდი ფრიდრიხი, სამხედრო გენიოსი, ძლევა-მოსილი, მებრძოლე მთელი ევროპიისა, თავის ჯარს ქართველების მამაცობას მაგალითად უდებდა და ეუბნებოდა: იბრძოლეთ ისე შეუპოვრად, როგორც იბრძვიან ერეკლეს ივერნიო.

(შემდეგი იქნება)

## ახალი ამბები

დიდი მთავარი კავკასიის ნამესტნიკი თავის დ. კ. ოლღა ფეოდ. და სხვანი დღეს 9 თებერვალს, მიბრძანდება პეტერბურღში.

* * *

მოგეხსენებათ, რომ ამას წინათ ჩვენს ქალაქში შესდგა ორი ქველმოქმედი საზოგადოება, ერთი აქაური კლასიკური გიმნაზიის ღარიბ შაგირდების დასახმარებლად და მეორეც პროგიმნაზიისა. დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა, როგორც გაზ. „კავკაზი“ გვაცნობებს, კეთილ-ინება პირველს ამ საზოგადოებას შესწიროს მუდამ წელს ათას-ხუთას მან. და მეორეს — ათასი მან. იმ ფულებიდამ, რომელიც ნამესტნიკის განკარგულებაშია ჩვენი მხრის „საზოგადო საჭიროების დასახმარებლად“.

* * *

ტფილისელი კორრესპონდენტი გაზეთის „გოლოსისა“ იწერება ამ გაზეთში:

ტფილისში შესდგა ცალკე კამისია ტაინი სოვეტნიკის პესჩუროვის თავმჯდომარეობით, რომლის დანიშნულება ის არის, რომ იზრუნოს კავკასიის მხრის დამშეულ ხალხის დახმარებისათვის. ამასთანავე ნამესტნიკი შუამდგომლობს კავკასიის კომიტეტის წინაშე, რომ ხაზინიდამ მიეცეს ერთი მილიონი მანეთი დამშეულებისათვის. ამას გარდა ადგილობრივ საინტენდანტო უწყებიდამ ამ თავითვე მიეცა ხალხს შემწეობა: ტფილისის გუბერნიაში დარიგდა—14,500 ფუთი ფქვილი. განჯის გუბერნიაში—35,000 მანეთი, ბაქოს—28,000 მან., ერევნის — 39,000 მან. და 7,100 ფუთი ფქვილი.“

* * *

როგორც ამას წინათაც იყო ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, აკოფოვის საქმე (ალისი ალავერდოვისა), ახალგაზრდა პრიკაჩიკის მეთუზოვის მოკვლის შესახებ, გუშინ, 7 თებერვალს, უნდა გაერჩია ტფ. ოლქის სასამართლოს. მართლაც დანიშნული იყო ამ საქმისათვის, მაგრამ, რადგანაც ზოგიერთი საჭირო მოწმეები არ გამოცხადდნენ, ამის გამო საქმის გარჩევა სხვა დროისათვის გადადევს.

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ახლად-გახსნილს იქაურ საეზნაურო შკოლაში პირველ დღესვე ოთხმოცი შაგირდი ყოფილა მიღებული. სწავლა ამ შკოლაში გუშინ, 7 თებერვალს, უნდა დაწყებულიყო.

* * *

სომხური გაზეთის „მშაკის“ რედაქცია აცხადებს, რომ 1878 წლის მაისიდამ იმან 13,000 მანეთზე მეტი შესაწირავი მოაგროვა სომხურ „არარატის საზოგადოების“ სასარგებლოდ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ზუგდიდი**, 29 იანვარს. ამას წინეთ ჩვენ წავიკითხეთ გაზეთის „დროების“ № 17-ში კორრესპონდენცია ზუგდიდიდამ შესახებ ქურდობის და ავაზაკობის გავრცელებისა ზუგდიდის უეზდში; ავტორი ამის მიზეზად ხდის ადგილობრივ ადმინისტრაციის უყურადღებობას.

ძრიელ მაკვირვებს უფ. კორრესპონდენტის შეხედულება ამ საგანზედ! ნუ თუ ის არ ყოფილა სხვა უეზდებში და ან არ წაუკითხავს გაზეთები, რომლებშიაც ხშირად გაიგონებდა მრავალ-გვარ ქურდობის და ავაზაკობის შემთხვევებს? ან რომელს საქმეში შეამჩნია უფ. კორრესპონდენტმა ზუგდიდის ადმინისტრაციას ყურადღების მიუქცევლობა?

თამამად შემიძლიან ვთქვა, რომ ამ ჟამად სხვა უეზდებში და ქალაქებში უფრო ხშირი გახლავსთ ქურდობა და სხვა-და სხვა ავაზაკობა, ვინემ ზუგდიდის უეზდში. მეც ზუგდიდის უეზდისა ვარ და კარგად ვიცი იქაური ამბავი, მაგრამ, სამიოდე უბრალო ქურდობის მეტი, არ გამიგონია დიდი ხანია; სახლის გატეხა, გზაზედ კაცის გაცარცვა, თავზედ დასხმა და ამ გვარი სხვა სრულიად არ მომხდარა გარდა ერთის შემთხვევისა: ეს იგი რაჭველების ღორების წართმევისა, რომელსაც უფ. კორრესპონდენტი ამბობს თავის წერილში. აი ესეც რა ნაირად გახლდათ: გავლილ დეკემბერში რაჭველებს ღორები ეყიდნათ აფხაზეთში; როდესაც ეს ღორები მორეკეს მდ. ინგურის პირათ, ოცარციის სანავოზედ, და მოინდომეს გამოყვანა ინგურში, ზამთარში და მეტადრე ამისთანა დიდ თოვლში, ორმოცს და სამოც ღორის გაყვანას ბევრი კაცი უნდოდა და რადგან ბევრი იმათ არ ყავდათ, ამის გამო ღორები ინგურის რიყის ტყეში დაებნათ, ღამე მოესწროთ და იქ რამოდენიმე ღორი, მართალია, დაიტაცეს ქურდებმა. ეს შემთხვევა როცა გაიგო ადგილობრივ ადმინისტრაციამ, იმავე მინუტში მიიღო ჩვეულებრივი ფიცხელი ზომა და კიდევაც ნამდვილი დამნაშავე აღმოაჩინა სამის დღის განმავალობაში. ამაზედ საქმე გამომძიებელს გარდაეცა და ამ ჟამად დამნაშავე დაჭერილია.

ამას გარდა მე არ ვფიქრობ, რომ უფ. კორრესპონდენტი ხშირად ხედავდეს ზუგდიდის უეზდში სხვა-და-სხვა ქვეყნებიდამ გადავარდნილ ავაზაკებს; თუ ეს მართალია, კორრესპონდენტმა ერთი მაინც ვინმე უჩვენოს ამისთანა ავაზაკი პოლიციას, რადგან ყოველი კაცი მოვალეა, რომ, შეიტყოს თუ არა სადმე გადავარდნილების მყოფობა, მაშინვე მოახსენებდეს მთავრობას(?).

სასურველია, რომ სხვა უეზდებში იქმნეს მიღებული „ამისთანა“ ზომა ქურდობის მოსპობისა, რომელიც აქაურმა უეზდის უფროსმა მიიღო, და რომელმაც, თუმცა სრულებით არა, შესანიშნავათ მაინც შეამცირა ზუგდიდის უეზდში ქურდობა და სხვა კანონის გარდამავალ მოქმედება.

ე. ა.

## წერილი რედაქტორთან

უფალო რედაქტორო!

ამას წინად გაზეთ „ობზორში“ გადაბეჭდილი იყო „დროებიდგან“ ჩემგნით გამოგზავნილი წერილი შესახებ ქურდობისა ხაშურში. „ობზორი“ ძრიელ თავს იწუხებდა და ეჭვს აცხადებდა, ვითომ ხაშურის ქარხნებში ხუთასი მუშა არ იქნებაო და ვითომ ქურდობა მეგრელებისგან არ უნდა იყოსო. დღესაც „ობზორის“ № 411-ში ერთი ვიღაც ხაშურის ქარხნების უფროსი აცხადებს, რომ სულ ტყუილიაო ხაშურიდგან გამოგზავნილი „დროებაში“ წერილიო, რომ ხაშურის ქარხნებში 350 კაცის მეტი ხელოსანი და მუშა არ არისო, მუშებს დღეში სამი აბაზი ქირა აქვთო, იმათ შეუძლიანთ თვეში თვრამეტი მანეთი იშოვნონო, ყოველ დღე თუ იმუშავესო: ხაშურში თუ ქურდობა ხდება, ისიც გაგდებული მოსამსახურეებისაგანო და არა იმათგან, ვინც დღეს აქ მუშაობსო.

„ობზორიც“ სტყუის და ხაშურის ქარხნების უფროსიც.

„ობზორს“ ამას მოგახსენებ, მანამ კარგად არ გაიგოს—საქმე რაში მდგომარეობს, მანამ თავის ეჭვები მაგრად შეინახოს.

მაგის მოყვანილი ეჭვი ტყუილია, ამიტომ რომ მაგან ნამდვილად არ იცის რიცხვი მუშებისა ხაშურში და არც ისა, რომ ქურდობა ხაშურში ნამდვილად მეგრელებისაგან არის, თუ სხვისაგან.

რომ ორთავე საგანში სტყუის ეგა, ქვევით მოყვანილის დამტკიცებებით დაინახავთ, რომლითაც მივმართავ უფ. ხაშურის ქარხნების უმფროსს:

თქვენა ბძანებთ 350 კაცის მეტი არ იქნებაო და ამ რიცხვში მხოლოდ 80 მუშის მეტი არ არისო. რატომ არ იცით, რომ თქვენ ქარხნებში ხელოსნებად მუშები არიან და რა ბატონები? ისინიც ისრე მუშაობენ, როგორც უბრალო მუშები, იმათაც ისეთი ტანისამოსი აცვიათ მუშაობის დროს, როგორც უკანასკნელებს. მეორე ისა, რომ თქვენ არა სთვლით ამ რიცხვში 50 მუშაზედ მეტს, რომლებიც ორთქლით მატარებლებზედ ემსახურებიან.

ამას გარდა განა არ იცით, რომ თქვენ ქარხნების გარდა ხაშურში მუშები სხვა საქმეებზედაც არიან, რომელიც სხვა უფროსებს აბარიათ? თქვენ კი მარტო თქვენი თავი გამოგყავთ.

კიდევ ვიტყვი: ხუთასი კი არა, მეტიც იქნება ხაშურში რკინის გზაზე მუშა ხალხი.

მუშის ჯამაგირზედ ბძანებთ, რომ იმათ დღეში სამი აბაზი აქვთ და შეუძლიანთ თვეში თვრამეტი მანეთი აიღონო. თქვენი აზრით: მაშ მუშამ თვის თვეობამდე ყოველ ცისმარა დღეს უნდა განუწყვეტლივ იმუშაოს, კვირაობითაც და უქმე დღითაც კი?! კატორგა ყოფილა მაშ თქვენი ქარხნები! ნუ თუ არ იცით, ბატონო, რომ მუშა ხალხმა უთუოთ უნდა დაისვენოს კვირაობით მაინც?! მაშასადამე თქვენ სტყუვით თქვენ მუშას თვეში 12—15 მანეთის მეტი არ მოსდის ჯამაგირი.

ქურდობის თაობაზედ ბძანებთ, რომ მხოლოდ გაგდებული მუშები ქურდობენო და არა ისინი, ვინც დღეს ქარხნებში არიანო. ნუ თუ ასრე მალე დაგავიწყდათ შარშანდელი ამბები? განა აღარ გახსოვთ, რომ თქვენი სახლის უკან ვაგონი გასტეხეს ძვირფასი საქონელით დატვირთული თქვენმა მოსამსახურეებმა, რომელთაც თვეში ხუთი თუმანი ჯამაგირი ჰქონდათ და იმათში მონაწილეობა ჰქონდათ თქვენგანვე დაყენებულს ყარაულებს, რომელნიც დღეს გორის საპყრობილეში არიან? რომელი ერთი მოგახსენოთ, მრავალი ამ გვარი ქურდობა თქვენი მოსამსახურეებისგან თქვენ კარგად გახსოვთ: მრავალი მოსამსახურე გაგიგდიათ ქურდობის გამო.

როგორ ამბობთ, რომ არაო, როდესაც თქვენ თქვენი მოსამსახურეებისა ისრე გეშინიანთ, რომ ღამე სახლის კედლებთან ფარნით ყარაულები გიყენიათ?

„დროების“ ხაშურელი კორრესპონდენტი.

ხაშური, 5 თებერვალს.

# უცხოეთი

**წვრილი ამბები.** „პოლიტის საგენტოში სწერენ პარიჟიდამ ტელეგრამმას 31 იანვარს, რომ დეპუტატების პალატაში შეუდგნენ სრული ამნისტიის (პატიების) წინადადების გარჩევას. **სამინისტროს** თავსმჯდომარემ **ფრეისინემ** ამის შესახებ გამოაცხადა, რომ მმართებლობა თანახმა არ არის სრული ამნისტიის მიცემასაო. საფრანგეთის ხალხის მომეტებული ნაწილი არ არის მომზადებული ამისათვისო, რადგან ამნისტია იმას აღელვების იარაღათ მიაჩნიაო. **ფრეისინე** ურჩევს იმ პირთ, რომელნიც ამნისტიის მომხრენი არიან, შეუერთდნენ მმართებლობას, რომ დაამშვიდონ მხარე; მაშინ მმართებლობას უფრო მეტი ძალა ექნება, რომ შემოიტანოს ამნისტიის შესახებ წინადადებაო. **ფრეისინეს** სიტყვა ძალიან მოეწონათ დეპუტატებს და ბევრი ტაშიც დაუკრეს. პალატის მომეტებულ ნაწილმა გადასწყვიტა ამნისტიის შესახები პროექტი გადიდვას ჯერ-ჯერობით.

—

ინგლისურ გაზეთებში იწერებიან რომიდამ, რომ ის პარტია, რომელსაც უნდა გამოიხსნას იტალიის პროვინციები, რომელიც სხვა სახელმწიფოების ხელ-ქვეით არის, ემზადება დაეცეს სამხრეთ ტიროლს. ამბობენ, რომ ეს გარემოება იტალიის მმართებლობამ შეატყობინა ავსტრიის მმართებლობასა, რომ მიიღოს მან საშუალება და დაუშალოს ზემოხსენებულ პარტიის მომხრეთათვის სამზღვარზე გადასვლა.

# განცხადებანი

—

რედაქციაში დარჩენილია რამდენიმე სრული ეგზემპლიარი შარშანდელის „ივერიისა“. მსურველს შეუძლიან შეიძინოს ეს წიგნები ან თვითონ „დროება-ივერიის“ რედაქციაში და ან უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. **1879** წლის განმავალობაში სულ ათი წიგნი გამოვიდა „ივერიისა“. თითო წიგნი ათ შაურად ისყიდება. ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ფოჩტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ თითოეულ წიგნზე **16** კაპ. ანუ ყველა ათს წიგნზე—**1** მან. 60 კაპ.

გრ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

„მოდი და ენდეთ ქალსა!“

ვოდევილი ერთ მოქმედებად მ. ჯორჯაძისა

თფილ. 1880 წელს. ფასი 20 კაპ.

—

„ქვრივის ლიმონები“

მოთხრ. გრ. რჩეულოვისა

გამოც. დავ. ბერიძისაგან

თფილ., 1880 წელს. ფასი 10 კაპ.

—

„სარიდონიანი“

პოემა, გამოც. ძ. ჩარექოვისაგან

თფილ. ფასი 30 კაპ.

—

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა: საქართველოს მეფე

„ბაგრატ მეოთხე“

თხზ. დიმ. ბაქრაძისა

—

„სისხლის ძიება“

პოემა ჩერქეზების ცხოვრებიდან

ალ. დეკანოზოვისა

---

**ცხენების გადასახადის ამკრებ მეიჯარადრების კანტორა** იმყოფება რიყეზედ იმავე ადგილას, საცა ადრე იყო, ე. ი. ვ. მირზოევის ქარვასლაში, № 53.

ცხენების პატრონებისაგან ხარჯის მისაღებად და იმათთვის კვიტანციის მისაცემად კანტორა გახსნილი დღის 9 საათიდამ ნაშვადღევის 5 სათამდინ.

ქუთაისისა და ფოთის მცხოვრებთა და აგრეთვე ამ ქალაქების ახლომახლო სოფლების მცხოვრებთ ეცნობებათ, რომ ამ ახალ-წლიდამ **სტრახში** ფაბრიკები, სახლები, ცეცხლის-ვემები, ნავები, საქონელი და სხვა ყოველგვარი ქონება მიიღება „**ცეცხლისაგან უზრუნველ მყოფს რუსის საზოგადოებაში**“. მსურველს შეუძლიან მიმართოს ქ. **ქუთაისში** ინჟინერ ლავდანსკის, რომელიც დგას არტილერიის ქუჩაზე, სახელმწიფო საინჟინერო სახლებში; ფოთში კი უნდა მიმართონ ინჟინერ **სარპეცკის**, რომელიც დგას **შ**აკოს სასტუმროს მახლობლად საინჟინერო სახლში.

(10—9)

---

**კავკასიის აქეთა მხრის პრიკაზი** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ 1880 წლის თებერვლის 18-ს პრიკაზში იქნება გაჭრობა ქვემო მოყვანილ პირთა უძრავს მამულების გასყიდვაზედ, რადგან ამათ თვის დროზე ვერ შემოიტანეს თავიანთ სახლების გირაოთ პრიკაზიდამ აღებულის ვალის თავნი და სარგებელი:

1). გ-ნ ანა მანასის ასულის არდუთინსკი-დოლგორუკის სახლი, თფ. 2 განყოფილების მე-11 უბნისტკაში- 1870 7, 500 მან.

2). თფ. მოქალაქის არტემ მესროფოვისა სახლი. თფ., 1 განყოფ. 4 უბნისტ. ორბელიანის ქუჩაზე. 1871 წ. 1,910 მან.

3). თფ. მოქალაქის ბაბა ავდიშევის თფ. 2 განყოფ. 13 უბნისტკაში, ავლაბარში. 1876 წ. 1, 300 მან.

4) თფ. მოქალაქის ზაქარია როსტომოვის სახლი, 1 განყ. 5 უბნისტ. ნემენცების ქუჩაზე, 1877 წ. 14, 700 მან.

5) გადამდგარ უნტერ—აფიცრის პეტრე იაკუშევსკის სახლი. 16 უბნისტკაში, ნავთლუღში. 1873 წ. 400 მან.

6) სერგეი ნიკიფოროვის სახლი. 1 განყოფ. 1 უბნისტკაში. 1872 წ. 1000 მან. და

7) თფ. მოქალაქეთ არტემ და სალომე მამულოვების სახლები, თფ. 1 განყოფ. 1 უბნისტკაში, № 400, 401 და 402 დაგირავ. 1878 წ. 550 მან.

ვისაც ამ სახლების ყიდვა ჰსურს, დაფასებით სიების ნახვა შეუძლიან პრიკაზში მუდამ დღე დილაობით.

(3—3)

---



ამ კვირიდამ, 27 იანვრიდამ 1880 წ.

ბალაგანში

ცირკის გვერდით, ბუნიბის მაიდანზე საზოგადოებას აჩვენებენ

ჯერ აქ უნახავს მოვლენას:

ყველაზე უდიდესი ევროპაში

# ქალი ამალია

და მთელს ქვეყანაში ყველა კაცებზე უფრო პატარა ადამიანები

მარკიზი **ვენრიხ ვოლზე**

და მარკიზა **ლუიზა**

ადგილების ფასი: 1 ადგილისა 50 კაპ., მეორესი—30 კაპ. ბავშვებისათვის ნახევარი ფასია.

---

**ОБРАТИТЕ ВНИМАНІЕ**

С. ПЕТЕРБУРГСКІЙ ПОРТНОЙ ГЕРМАНЪ.

Имѣю честь извѣстить почтеннѣйшую публику, что нынѣ мой магазинъ и мастерская находятся на Гановской улицѣ напротивъ дома Хосроева, въ новомъ зданіи Шахъ-Назарова.

Только что полученъ большой выборъ осеннихъ и лѣтнихъ Англиских и французскихъ матеріи и также принимаются заказы военныхъ и гражданскіхъ костюмовъ, по умѣреннымъ цѣнамъ.

(5—2)

---

სავაჭრო სახლი

# იაგ. კასუმოვი და კომპ.

სთხოვს ფაეტონების, დროჟკების, ფურგუნების, პოვოზკებისა და სხვ. პატრონებს მობძანდნენ ბილეთების ასაღებად 1880 წლისათვის კანტორაში, ალექსანდროვის ბაღის პირდა-პირ, თუმანიშვილის სახლებში.

(10—10)

---

კავკასიის სამხედრო მაზრის **ინტენდანტის გამგეობა** აცხადებს, რომ ამა 1880 წლის 6 მარტს ახალციხის უეზდის პოლიციის უპრავლენიეში დანიშნულია ვაჭრობა ახალციხის სახორაგო მაღაზიისათვის ხორბლის დაფქვაზედ.

სულ მაღაზიას დასჭირდება წელიწადში 10,276 ჩეთვერის ხორბლის დაფქვა. იჯარის ვადა ორი წელიწადია. წისქვილზე წაღება ხორბლისა და მაღაზიაში დაფქვილის მოტანა მეიჯარადრემ უნდა იკისროს.

დაწვრილებით პირობის (კანდიციის) შეტყობა მსურველს შეუძლიან მუდამ დღე ახალციხის უეზდის უპრავლენიაში და აგრეთვე თფილისში საინტენტო გამგეობაში.

(3—3)

---

**კავკასიის სამხედრო მაზრის ინტენდანტის გამგეობა** აცხადებს, რომ ამა 1880 წლის 6 მარტს ბაქოს სახაზინო პალატაში დანიშნულია გაჭრობა იჯარით მიცემაზედ ბაქოს სახორაგო მაღაზიისათვის წელიწადში 100 ჩეთვერის ხორბლისა- მეიჯარადრემ თვითონ უნდა წაიღოს ხორბალი წისქვილზე და მაღაზიაშიაც თვითონ უნდა მოიტანოს დაფქვილი.

დაწვრილებით პირობის შეტყობა საინტენდანტო გამგეობაში შეიძლება მუდამ დღე დილის 9 საათიდამ შუადღემდინ.

(3—3)

---

„**საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება**“ სთხოვს ამ საზოგადოების წევრთა, რომელთაც საწევრო ფული არ შემოუტანიათ, ჩააბარონ ეს ფული ამ საზოგადოების ხაზინადარს ი. გ. მაჩაბელს, რომლის ნახვაც შეიძლება ყოველ დღე, გარდა უქმ დღეებისა, თფილისის საადგილ-მამულო ბანკში თერთმეტი საათიდან პირველს საათამდე.

(5—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Февраля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.